სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

18.08.2017 № 158

თბილისი

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

"სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების და სტუ-ს წესდების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასპეციალიზაციო გამოცდები ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს:

1.1. 2017 წლის 21 სექტემბერს სტუ-ის I კორპუსში, კოსტავას ქ.68, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (აუდიტორია №403);

10^{00} საათი

- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა

1.2. 2017 წლის 21 სექტემბერს სტუ-ის საგამოცდო ცენტრში, სტუ-ის I კორპუსში, კოსტავას ქ.68, შემდეგი განრიგით:

9^{30} –11^{30} საათი

- სამშენებლო ფაკულტეტი
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

11^{30} –13^{30} საათი

- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

13^{30} –15^{30} საათი

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1.3. 2017 წლის 22 სექტემბერს სტუ-ის საგამოცდო ცენტრში, სტუ-ის I კორპუსში, კოსტავას ქ.68, შემდეგი განრიგით:

9^{30} –11^{30} საათი

- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

11^{30} –13^{30} საათი

- ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი

13^{30} –15^{30}

- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2. სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგები გამოცხადდეს შესაბამისად 21 და 22 სექტემბერს და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს ამა წლის 23 სექტემბერს 10 სთ–დან 16 სთ–მდე, მათი განხილვა – ამა წლის 24 სექტემბერს;
4. სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 25 სექტემბერს და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ფაკულტეტების დეკანებმა საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა), მოამზადონ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტი და შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და ჩააბარონ ისინი სწავლების დეპარტამენტს ამა წლის 26 სექტემბერს;
6. სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება 2017 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით;
7. სწავლების დეპარტამენტმა 2017-2018 სასწავლო წლისთვის სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არა უგვიანეს ამა წლის 2 ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
8. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე